ახალი გაზეთი

„მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

15 - 28 ივნისი 2013 წელი №11 № 8045 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

ყველა ოჯახს ექნება საფელიფური ანფენა გვ3.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გვ2.

მიმდინარე კვირიდან დაიწყება რეზერვუარის შევსება გვ2.

“ქილოსობსც რა ფნლა“ გვ3.



ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები დააჯილდოეს გვ2.

„ფეტადი დღესასწაული„ გვ4–5.

რა ვსტეკა ვანგვმ ქანითვილ ეკიმც გია ცოლოქვილოძეც? გვ6.



ბიბა, რომელიც ქოლგით დათრინავს გვ7.

რაფლომ ვრიც „წითელი წიგნი„ წითელი გვ7

ეროვნული ეკონომიკა

შოკოლადიც მოვლები, გოლვაფები, მლელოები

მიმდინარე კვირიდან დაიწყება რეზერვუარის შევსება

კასპის სასმელი წყლის 3000 კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარი, რომელიც მოსახლეობის 80% ამარაგებს ექსპლუატაციაში უახლოეს მომავალში შევა. კომპანია, რომელმაც ტენდერით ამ რეზერვუარის რეაბილიტაციაზე აიღო პასუხისმგებლობა, მალე დაამთავრებს სამუშაოებს.

რამდენიმე დღის წინ ყველა იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც რეზერვუარის აღდგენაში იღებდა მონაწილეობას, წყალსადენის ტერიტორიაზე

შეიკრიბა. ისაუბრეს არსებულ სიტუაციაზე. გადაწყდა წყალსადენის საცდელ რეჟიმში გაშვება. მიმდინარე კვირიდან დაიწყება რეზერვუარის შევსება. ივნისის ბოლოსთვის კი სრულად დაიტვირთება.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კომპანია "შინაშხარს" მოსთხოვა იმ გზების აღდგენა, რომელიც სამუშაო პროცესში დაზიანდა და მოსახლეობას დიდ პრობლემას უქმნის.

შეთანხმების საფუძველზე დაიწყო დაზიანებული ქუჩების აღწერა. კომპანია თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს გზების მოხრეშვას.

შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის ავტორი მერაბ ნიკოლეიშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ირაკლი წურწუმია, ნუგზარ ჯავახიშვილი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან მამუკა დოლიძე, გიორგი ქუთათელაძე, ლევან დვალი და კომპანია "შინაშხარის" დირექტორი აღვან მამუკიანი.

ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები დააჯილდოეს

ლიბერთი ბანკის კასპის ფილიალის მმართველმა გიორგი კოდოშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები დააჯილდოეს.

კახა მამულაშვილს ბიუჯეტიდან გადაეცა 1000 ლარი, ხოლო მის მწვრთნელს 500 ლარი. ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულ ამირან პაპინაშვილს ლიბერთი ბანკისგან **HP** ფირმის პერსონალური კომპიუტერი გადაეცა. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და ჩემპიონმა, ამირან პაპინაშვილმა მადლობა გადაუხადეს ლიბერთი ბანკის კასპის ფილიალის მმართველს გიორგი კოდოშვილს სპორტისა და კულტურის ხელშეწყობისათვის.



რეზო ტყემალაძეს 75 წელი შეუსრულდა

რეზო ტყემალაძეს 4 ივნისს 75 წელი შეუსრულდა. ამ დღის აღსანიშნავად კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ ბატონი რეზო გამგეობაში დაპატიჟა. საჩუქრად სპეციალურად მისთვის დამზადებული კასპის გერბი და ფულადი ჯილდო გადასცა.

ოლეგ იაძემ და რეზო ტყემალაძემ ბევრი ისაუბრეს სპორტში არსებულ პრობლემებზე. გაიხსენეს ის წლები, როდესაც კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურს რეზო ტყემალაძე ხელმძღვანელობდა, ისაუბრეს წარმატებებზე, რომლებიც ბატონი რეზოს ძალისხმევით კასპის მუნიციპალიტეტს მრავლად ჰქონდა. ოლეგ იაძემ იუბილარს მადლობა გადაუხადა დიდი ღვაწლისთვის, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით

მეტეხში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული თანხის ხელახალი გადანაწილებისთვის განმეორებითი კრება გაიმართა. კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობის მოთხოვნით სოფლისთვის გამოყოფილი 41000 ლარით მოეწყობა ეკლესიის ეზო, რისთვისაც 20000 ლარი განისაზღვრა. დარჩენილი თანხით კი გარემონტდება სპორტული დარბაზი და კოსმეტიკური სამუშაოები ჩაუტარდება სოფელ მეტეხში მდებარე საბავშვო ბაღს.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

"ჭილოსნებს რა უნდა"

მეტეხში იოსებ მაღალაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენაზე გაიმართა ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრში შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 1993-1995 წლებში დაბადებული ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობდნენ. არენა, რომელზეც აღნიშნული ასპარეზობა ჩატარდა, ქართული ჭიდაობის ფედერაციის და საქველმოქმედო ფონდ "ქართუს" ერთობლივი პროექტით განხორციელდა.

ახალ არენაზე შეჯიბრება პირველად გაიმართა. აქვე დავძენთ, რომ საქართველოში წელს კიდევ რამდენიმე

ათეული ღია საჭიდაო არენა უნდა აიგოს. არაერთ მათგანზე დღესდღეობით სამუშაოები მიმდინარეობს. უშუალოდ მეტეხის საჭიდაოს ტრიბუნა, დასაჯდომი და ფეხზე დასადგომი რამდენიმე რკინის კონსტრუქციითაა მოწყობილი. არენა ნახევრად გადახურულია (ტრიბუნის თავზე) და დაახლოებით 500 მაყურებელს იტევს.

ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ხსოვნას. საჭიდაო არენაზე საქართველოს დროშები სწორედ ამის ნიშნად იყო დაშვებული. ასპარეზობას უამრავი ადამიანი სტუმრობდა. აქ იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები სამბოში, ფალავნები ქართულ ჭიდაობაში, ეროვნული ჭიდაობის სახეობის ფედერაციის თავკაცები, მისი პრეზიდენტის გელა ბერუაშვილის ხელმძღვანელობით, აქ იმყოფებოდა აგრეთვე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი ლუკა კურტანიძე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე და სხვები.

შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენებმა მაყურებელს საინტერესო ორთაბრძოლები უჩვენეს. როგორც მოსალოდნელი იყო კვარცხლბეკზე ძირითადად შიდა ქართლელი (კასპი, გორი, ქარელი, ხაშური) მოჭიდავეები დადგნენ, საპრიზო ადგილებს მცხეთელებიც დაეუფლნენ. მძიმე წონაში ფინალური დაპირისპირება გიგა გელაშვილსა და გიგა თაყაძეს შორის წარიმართა, ქულებით გაიმარჯვა გიგა თაყაძემ.

გამარჯვებულ ფალავანს საჩუქრად ჭედილა გადასცეს სახელოვანმა სპორტსმენებმა გელა ბერუაშვილმა და რევაზ ძოძუაშვილმა.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

საქველმოქმედო აქცია

ყველა ოჯახს ექნება სატელიტური ანტენა

შარშან, საპარლამენტო არჩევნების წინ "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" /გენერალური დირექტორი ზურაბ ბაზლიძე / ინიციატივითა და ხელშეწყობით ქვეყნის მასშტაბით დაიწყო საქველმოქმედო აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა ოჯახის უზრუნველყოფას სატელიტური ანტენით. ზოგმა ოჯახმა აიხდინა კიდეც ნანატრი ოცნება, განსაკუთრებით სოფლებში, პირველ რიგში ყველაზე შეჭირვებულებს უსასყიდლოდ დაურიგდათ და დაუმონტაჟდათ სატელიტური ანტენები ანუ ეგრეთ წოდებული თეფშები..

თუმცა, სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ მთელმა მსოფლიომ ტელევიზიით იხილა წინა მთავრობის მიერ დაყადაღებულ-დატყვევებული ანტენები და, რა თქმა უნდა, საქველმოქმედო აქცია გასაგები მიზეზების გამო შეფერხდა კიდეც, მაგრამ ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ ისევ დაიწყო წამოწყებული აქციის გაგრძელება და უკვე ათასობით ოჯახს სააქციო საზოგადოება "გლობალ კონტაქტ კონსალტინგმა" უფასოდ დაურიგა და დაუმონტაჟა ძვირადღირებული ტექნიკა.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ქვემო გომში, მეტეხში, თელიანში, დოესში, ხოვლეში, ახალქალაქში, ქვემო ჭალაში, კოდისწყაროსა და კიდევ სხვა დასახლებულ პუნქტში მსურველებმა უკვე მიიღეს მთავრობის დახმარება.

ამჟამად ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს კასპში. როგორც ამ საქმის ორგანიზატორები იუწყებიან, ქალაქში უკვე 300-ზე მეტი ოჯახი დაკმაყოფილდა. მონტაჟს აწარმოებენ მამუკა წკრიალაშვილი და ზვიად ლაცაბიძე, სამუშაოები წლის ბოლომდე გასტანს.

— სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე ანტენის მსურველს, ესე იგი დამკვეთსა და ჩვენს შორის ფორმდება ხელშეკრულება, — განმარტავს "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" კოორდინატორი კასპის რაიონში ოთარ ზაქარაშვილი, — სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე დამკვეთი უფლებამოსილია მიიღოს მიმღები მოწყობილობა, რესივერი, რა თქმა უნდა, მასში შედის დეკოდერი, სატელიტური ანტენა ანუ ყველასათვის კარგად ნაცნობი თეფში და, რა თქმა უნდა, კიდევ სხვა დამხმარე მასალა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე აუცილებელია განცხადების დაწერა, რასაკვირველია, ამისათვის უნდა დაუკავშირდეთ კოორდინატორს /ტელეფონი: 5-77-32-97-13/. აი, ასე მარტივად გახდებით "გლობალტივის" აბონენტი. მოგეხსენებათ ისიც, რომ ხელშეკრულება მოიცავს ბევრ მუხლს, სადაც დაწვრილებით არის გაანალიზებული დამკვეთისა და შემსრულებლის უფლება-მოვალეობა, პასუხისმგებლობა და კიდევ სხვა ორგანიზაციული საკითხები, რომელთა გაცნობის შემდეგ აბონენტს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნება იმის შესახებ, თუ რა პრივილეგიებსა და სერვისს, კომფორტს სთავაზობს გლობალტივი საკუთარ მომხმარებლებს.

ყველაზე აქტუალური კი ალბათ, რაც აინტერესებს მომხმარებელს გახლავთ ის, თუ რომელი არხების ნახვას შეძლებენ ტელემაყურებლები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა ეღირება ეს "ფუფუნება".

კოორდინატორის განმარტებით აბონენტებს მრავალფეროვანი არჩევანი აქვთ. ხელშეკრულების თანახმად აბონენტს ეძლევა პაკეტი თავისი კატალოგით. აღნიშნული კატალოგის დახმარებით დამკვეთი თავად ირჩევს სასურველ არხებს, ესე იგი, თავის რესივერში ტვირთავს იმ პროგრამას, რომელსაც თავად ანიჭებს უპირატესობას და სხვათა შორის, ეს მომსახურება ნამდვილად არ არის ძვირადღირებული, ფაქტიურად პაკეტის ღირებულება იწყება ერთი ლარიდან და 20 ლარს არ აღემატება. ორგანიზატორები იმაზეც საუბრობენ, რომ აბონენტები ქართული არხების მიღებას უფასოდ შეძლებენ.

რ. ქართლელიშვილი.

"ფერადი დღესასწაული"



ბიოგრაფიული შტრიხები

დაიბადა 1972 წელს, აფხაზეთში, გალ-ში. 1989 წელს წარჩინებით დაამთავრა გალის სამხატვრო სკოლა. შემდეგ იყო საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტე-ტის წარჩინებული სტუდენტი. პრო-ფესიით მხატვარ-არქიტექტორია.

ხატავს 12 წლიდან, დაახლოე-ბით 26 წელია უკვე: "აქედან თითქმის ოცი წელი ვსწავლობდი, ძალიან ბევრი შრომაა საჭირო, რომ ჩამოყალიბდე, გაერკვე საკუთარ თავში, შეაფასო შენი შესაძლებლობები და შემდეგ მიიღო გადა-წყვეტილება."

მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენებში. 2011 წელს გააკეთა სამი პერსონალური გამოფენა.

მიწვეულია ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გალერეაში. კონკურსის ორგანიზატორებთან გადაგ-ზავნა ინფორმაცია, ნახატები და რეცენ-ზია, რომელიც დაუწერა ხელოვნებათმ-ცოდნემ, ბატონმა გოგი ხოშტარიამ. მოვ-იდა დადებითი პასუხი. კულტურის სამინ-ისტროს ხელშეწყობით დავით ბაძაღუა ამ პრესტიჟულ გამოფენაზე მსოფლი-ოში 12 უძლიერეს მხატვარს შორის ერთ-ერთი ქართველი მხატვარი იქნება და ღირსეულად წარმოაჩენს საქართვე-ლოს სახელს.

ამჟამად სამხატვრო აკადემიაში დიზაინის კათედრაზე სამომხმარებლო ობიექტების ინტერიერის და ექსტერი-ერის პედაგოგია.

ჩვენ ვსაუბრობთ ქართველ მხ-ატვარზე, აბსტრაქციონისტ დავით ბაძ-აღუაზე.

რას და როგორ ხატავს

"ხატვას ვიწყებ მხოლოდ მაშინ, როცა ჩემში გროვდება ემოციები, ფიქრები, განცდები და მინდა ამ ყველაფრისაგან განვთავისუფლდე. წინასწარ არასოდეს არ მაქვს განსაზღვრული რას დავხატ-ავ. როცა ხატვას ვასრულებ, მერე ვიწ-ყებ სურათის შესწავლას და შეფასე-ბას. შემოქმედების პროცესში მე ვემორ-ჩილები მუზას და ის მკარნახობს, თუ რა უნდა შევქმნა.

მე აბსტრაქციონისტი ვარ.

სამუშაოდ მჭირდება სიჩუმე ან მელო-დიური მუსიკა. როცა შემოქმედებით პროცესში ვარ, ამ დროს ნებისმიერმა სატელეფონო ზარმა ან ხმაურმა შეი-ძლება შეცვალოს სურათის იდეა და ნახატმაც დაკარგოს თავისი პირვანდე-ლი სახე. ასეთ დროს მე უკვე სხვა დათო ვარ. ვფიქრობ, უფლის ნებაა, რასაც ვაკეთებ. ვგრძნობ, რომ უფალი ცდი-ლობს რაღაც მათქმევინოს. როცა ნახ-ატს ვასრულებ, მერე ვიწყებ მის შეს-წავლას, რადგან შემოქმედებით პროცესში მეც სულ სხვა ადამიანი ვარ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, სხვამ ამოიკითხოს ჩემს შემოქმედებაში ის, რასაც ისინი ხედავ-ენ. გამიზნულად ჩემს ჩანაფიქრს არ გადმოვცემ, რომ თავს არ მოვახვიო სხ-ვას ჩემი ემოციები. ყველაფერს გულ-წრფელად, სპონტანურად ვქმნი.

რაც შეეხება ფერთა გამას, შემ-იძლია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ, ჩემს ყოველ ნახატში არის წითელი ფერი. არ ვიცი რატომ. შეიძლება ეს არის ერთგვარი პროტესტი, ჩემი შინა-განი სამყაროს გამოძახილი, რომელიც გადმოსცემს ემოციას."

"ხშირად მესიზმრება აფხაზეთი".

ჩემში დღემდე ცოცხლობს აფხაზეთი, ზღვა და მონატრება საკუთარი სახლის, ბედნიერი ბავშვობის. ვერც კი წარმოვ-იდგენდი, რომ ოდესმე დავტოვებდი ჩემს ეზოს, სახლ-კარს, მაგრამ დღეს ეს ყვე-ლაფერი რეალობაა. ხშირად მესიზმრე-ბა აფხაზეთი, ჩემი სახლი. მენატრება ყველა და ყველაფერი. ის ბგერებიც მენატრება, რომელსაც ჩემი ეზოს ჭიშკარი გამოსცემდა დაკეტვისა და გაღე-ბის დროს. ამას ალბათ სხვა ვერ გაიგებს, მაგრამ ვისაც არ განუცდია, ან ამაზე არ უფიქრია, მე მას ვურჩევ, რომ ამაზე დაფიქრდეს. მინდა ეს ყველაფერი დავი-ბრუნო!

დამეღუპა ბევრი მეგობარი, დავკარგე ეს ლამაზი სამყარო, რომელ-შიც ვცხოვრობდი მშვიდად. ეს განცდე-ბი, ტრაგედია, ვფიქრობ, ჩემს ნახატებში არ ჩანს და ვცდილობ, რომ არც ჩანდეს, რადგან ეს იმდენად ჩემია, პირადულია, რომ მინდა ჩემში დარჩეს. თუმცაღა, ალ-ბათ იქ, სადაც გულწრფელობაა, სიმარ-თლეს და ნამდვილ ემოციას ვერ დამა-ლავ.

თუ მხატვარი შრომისმოყვარეა, ის ეროვნულია, რადგან ის ეროვნული საგანძურის ისტორიასაც ქმნის. ეროვნუ-ლობა მხატვრობაში განისაზღვრება მხ-ატვრის დამოკიდებულებაში თავისი ქვეყ-ნის, ერის მიმართ, რომელიც მის შემო-ქმედებაში ჩანს. მთავარი ღირებულება მხატვრისათვის არის გულწრფელობა. მადლობა უფალს, რომ მე მაქვს შესა-ძლებლობა ვაკეთო ჩემი საქმე.

ყველას დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩემი შემოქმედების დაფასე-ბისათვის. უღრმესი მადლობა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ომარ იაძეს; კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალ-გაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს, ქალბატონ თეა ხორბალაძეს, ასეთი თბილი და მომზადებული დახვედრი-სათვის; ქალბატონ ლია ბეგლარაშვილს, რომელსაც ეკუთვნის იდეა გაკეთებუ-ლიყო ჩემი პერსონალური გამოფენა ქალაქ კასპში; ქალბატონ ლია მენაბ-დიშვილს, გამოფენის გახსნისა და ჩატარებისათვის. ყველას, ვინც მობრ-ძანდა ჩემს გამოფენაზე და ზიარი გახდა ჩემი ფიქრების, განცდების და ჩემი სამ-ყაროსი."

ვერნისაჟი

დავით ბაძაღუას ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა ქ. კასპში 5 ივნისს, 2 საათზე გაიხსნა. დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიესალ-მა წამყვანი ლია მენაბდიშვილი;

სამთავისი-გორის ეპარქიის მეუფე ანდრიამ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა; საზოგადოებას მიე-სალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგე-ბლის მოვალეობის შემსრულებელი, ბა-ტონი ომარ იაძე.

სიტყვით გამოვიდნენ: კასპის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგი, ქალბა-ტონი ლია ზარიძე; კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი, ქალბატო-ნი მანანა ყაბანაშვილი; კასპის მუნიცი-პალიტეტის გამგეობის კულტურის, გა-ნათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ქალბატონი თეა ხორბალაძე; მხატვარი, ბატონი ზურაბ გაბუნია; აფხ-აზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი ელგუჯა (გია) გვაზავა; აფხ-აზეთის მთავრობის წარმომადგენელი, ბა-ტონი ზურაბ ხოჯავა; საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენე-ლი, ქალბატონი ნინო მიქაია; მსახიობი, ბატონი ზურაბ ცინცქილაძე.

* დასასრული მე-5 გვ.

* **დასასრული**

ვერნისაჟის გახსნა გაალამაზა: ვაჟთა ანსამბლმა “მოურავი” (ლოტბარი გივი ბახტაძე) სიმღერით ”ქართლის ციხეზე ამოკითხული,” რომლის ავტორიც გახლავთ გივი ბახტაძე; ცეკვა “აფხაზური” შეასრულეს ქორეოგრაფიული ანსამბლის ”ქორეოლოგია” ნორჩმა მოცეკვავეებმა (ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე).

გამოფენა კასპში ერთ კვირას გასტანს.

ემოცია

ყოველი დღის მშვენიერების აღქმა და შეცნობა შეუძლია ჭეშმარიტ ხელოვანს, რომლისთვისაც ყოველი დღე ძვირფასია და საინტერესო. ხელოვანი ადამიანის სული უფრო ფაქიზია, ამიტომაც ის ყოველთვის თავის სულსა და გულს დებს შემოქმედებაში. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ქართველ მხატვართა ხელოვნების სამყარო, რომლის ღირსეული წარმომადგენელი გახლავთ დავით ბაძაღუა, რადგან მათთვის დამახასიათებელია მკვეთრი ინდივიდუალიზმი.

დავით ბაძაღუას შემოქმედებაში შეიმჩნევა განსაკუთრებული ხედვა და მიდგომა ნამუშევრებისადმი. მის ტილოებს ”ფერადი დღესასწაული” უწოდეს. სწორედ ამ ფერადი დღესასწაულის თანაზიარობა ხვდა წილად ჩვენი ქალაქის მოსახლეობას, მოზარდებს. ნამუშევრების თემა მრავალფეროვანია. ძალზე საინტერესოა ფერთა მხატვრული თამაში სასურათო ზედაპირზე, იგრძნობა განსაკუთრებული იმპროვიზაცია და განსხვავებული დამოკიდებულება ფერწერულ სტრუქტურასთან. ყოველ ნამუშევარში იგრძნობა აფხაზეთის მონატრება, ნოსტალგია, რომელსაც სულით ატარებს მხატვარი და ამას განსაკუთრებულად უფრთხილდება თავის ნახატებში. ჭეშმარიტი ხელოვნებაც სწორედ ეს არის, როცა შემოქმედს შეუძლია სამყარო დაგანახოს ისეთი, როგორიც არის! თვალში საცემია აშკარად გამოხატული კოლორისტული ნიჭი-მასტეხინისა თუ ფუნჯის კვალი.

ბატონი გოგი ხოშტარია იძლევა მხატვრის შემოქმედების ზუსტ შეფასებას: ”დავით ბაძაღუას განსაკუთრებით ეხერხება მუშაობა აბსტრაქტული და კონკრეტული სახვითი წყაროს ზღვარზე. ცხადია, ნამუშევართა მთელ რიგ სერიებში უფრო კონკრეტიკა სჭარბობს, ზოგში მეტია აბსტრაგირება, თუმცა იქაც ზოგიერთი ფორმა ასოციაციებსა და სახეებს ბადებს. ეს ამძაფრებს მისი სურათის პოლიფონიურ წყობას.”

მობრძანდით, ნახეთ და შეიქმენით ემოცია.

ბოლოსიტყვაობის მაგივრ

გამოფენას ლაიტმოტივად გასდევდა ქართველი ერის დიდი ტკივილი აფხაზეთი, რომლის შენარჩუნების მცდელობასაც, სხვებთან ერთად, შეეწირა ჩვენი რაიონის მკვიდრი 39 ვაჟკაცი, კასპის ბატალიონის მეთაურითურთ. პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი მტრის ტყვიამ 24 სექტემბერს იმსხვერპლა, 27 სექტემბერს კი სოხუმი დაეცა.

საქართველომ მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო ქრისტიანობა და ამით აღიარა, რომ იგი ვერ იქნება და არც არის არავისი მჩაგვრელი. სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე შექმნა ლეონტი მროველმა XI საუკუნეში კავკასიის ხალხთა ძმობის იდეა. ქართველი ხალხი ამ იდეის ერთგული იყო, არის და იქნება. ამიტომ, თუ აფხაზები თავიანთი ეროვნული ინტერესებისათვის იბრძვიან, ისინი ჩვენთან ერთად უნდა ეძებდნენ ხსნის გზას.

მხატვარი დავით ბაძაღუა ბრძანებს: ”ხელოვნებას ელჩის როლი შეუძლია შეასრულოს დაპირისპირებულ მხარეებს შორის.”

იმედია, რწმენა, ენა და ხელოვნება შეძლებს გვაპოვნინოს ერთმანეთთან მისასვლელი გზები.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

“ფერადი დღესასწაული”



საყვარელი გმირები



კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /დირექტორი ლელა პეტრიაშვილი / ორგანიზებით ჩატარდა ასფალტზე ხატვის კონკურსი: “ჩემი ზღაპრის გმირები”. კონკურსი მიეძღვნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. სახალისო კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქალაქის ოთხივე საჯარო სკოლამ. კასპის პირველი საჯარო სკოლიდან მონაწილეობდნენ ლუკა კახიშვილი, გიორგი პოლოცკი, ნინო თაბუაშვილი, ანა კახიშვილი და ქეთევან ჭალისური, მეორე საჯარო სკოლიდან – მარიამ კაჭიური, მარიამ მაჭარაშვილი, გვანცა კიტრიაშვილი, თათია მანგოშვილი, მესამე საჯარო სკოლიდან – გვანცა ხიზაძე, გიორგი მიგრიაული, ზურაბ დუშაშვილი, ლიკა წინამძღვრიშვილი, მეოთხე საჯარო სკოლიდან – გვანცა ლაფერაშვილი, ხატია სამნიაშვილი, სალომე გითოლენდია, რეზო ჩიტიშვილი, ბექა სანაია, ვანიკო



მიდელაშვილი, ამირან ირემაშვილი. კონკურსში მონაწილეობდნენ აგრეთვე მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის მოსწავლეები: მარი ბეჟიტაშვილი, ანი ჯალალი, გვანცა გერმისაშვილი, სალომე ჯაბაური და ქეთი წიკლაური.

კონკურსი კარგა ხანს გაგრძელდა, ხალისობდნენ ბავშვები, პატარების თვითშემოქმედებას ათვალიერებდნენ მშობლები, პედაგოგები, მოწვეული სტუმრები და თქვენ წარმოიდგინეთ, ცნობის მოყვარულებიც, ვინაიდან კონკურსი გარეთ, ცისქვეშ ტარდებოდა და ყველა გამვლელს შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა არაორდინალურ გამოფენას, სადაც თავი მოიყარა პატარების ფანტაზიამ. დიახ, ასფალტი სულრადაც ორიოდ საათში დაიფარა ბავშვების საყვარელი “გმირებით,” რომელთა შორის იყო სასაცილო ბურატინო, ტყეში მოსეირნე წითელქუდა, შვლის ნუკრი, მიკი მაუსი, ბაყბაყდევი, ცეროდენა, ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი...

შთამბეჭდავი იყო კონკურსის ბოლო ნაწილი, სადაც გამოვლინდნენ გამარჯვებული “მხატვრები”. პირველი ადგილის მფლობელი გახდა მესამე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე ლიკა წინამძღვრიშვილი, მეორე ადგილი მიეკუთვნა მეოთხე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეს რეზო ჩიტიშვილს, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი ორმა კონკურსანტმა ქალაქის მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ მარიამ კაჭიურმა და კონკურ-

სის ყველაზე პატარა მონაწილემ, პირველი საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ ანი ბაისონაშვილმა გაიყო.

კონკურსის ყველა მონაწილე და საპრიზო ადგილზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაჯილდოებულთა შორის იყვნენ აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებიც, რომლებმაც გაიმარჯვეს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარებულ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე. აღნიშნულ კონფერენციაზე მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა ფოლკლორის წრის მოსწავლემ თორნიკე მახარაშვილმა, ხოლო ფოლკლორის წრის ხელმძღვანელმა თამარ რუსიშვილმა მიიღო მადლობის ფურცელი. საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სახლის სიგელებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის წევრი ლუკა

კახიშვილი და პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი, ქართული ენის წრის წევრი მარიამ გოგიაშვილი, პედაგოგი ნინო აფციაური.

ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ნუნუ ყიფიანი.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

რა აჩუქა ვანგამ ქართველ ექიმს გია სულაქველიძეს?



ექიმი ფსიქოთერაპევტი, ალტერნატიულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი გია სულაქველიძე ოთხმოცდაინ წლებში კლასიკურ მედიცინაში მოღვაწეობდა. თუმცა, ადრინდელი გატაცება, შინაგანი ენერგიის ფენომენი, ჰიპნოზი მისთვის სამუდამოდ საყვარელი ჯვარი გახდა...

შინაგანი რწმენის წყალობითა თუ ხანგრძლივი, შეუნელებელი მეცადინეობით მოახერხა ლეგენდარულ ვანგასთან შეხვედრა და თქვენ ნარმოიდგინეთ, ნათელმხილველის „განკურნებაც„ შეძლო. მერე კი, მასთან რამდენიმე შეხვედრამ საბოლოოდ განსაზღვრა ქართველი ფსიქოთერაპევტის მომავალი, დიახ, გია სულაქველიძეს ვანგამ მინიატურული ამფორა აჩუქა და პარალელურად ერთგვარი მისიაც დააკისრა...

ჩვენთვის საგულისხმო და მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც, საზიამოვნო სიურპრიზი გახლავთ ის, რომ ამჟამად გია სულაქველიძე კასპშიც მოღვაწეობს. საქმე ის გახლავთ, რომ კლინიკა „მარიმედში„ /დირექტორი მამუკა ბერიძე/ კვირაში ორჯერ ოთხშაბათს და შაბათს აქაურებს და არა მხოლოდ კასპელებს შეუძლიათ ექიმთან მისვლა, კონსულტაცია უფასოა, დიაგნოსტიკური საანალიზო ჩატარების შემდეგ პაციენტებს, თუ სურვილი ექნებათ, შეუძლიათ დაინყონ მკურნალობა. აი, სნორედ ამის შესახებ თავად ექიმი ფსიქოთერაპევტი გია სულაქველიძე გვესაუბრება.

— ურთულესი გზა გავიარე, სკეპტიკოსებთან ჭიდილსაც გავუძელი. წლების წინ პაციენტებმა ბევრი არაფერი იცოდნენ ალტერნატიული მედიცინის მიმართულებებზე. მაშინ, ფსიქოთერაპევტთან მოდიოდნენ ფსიქოსომატური დაავადებების პაციენტები, მაგალითად, ვისაც აწუხებდა უძილობა, შიშები, სხვადასხვა ნევროზული გამოვლინება. ჩემი მუშაობის პრაქტიკაში არასოდეს გამომიყენებია მხოლოდ ბიოენერგეტიკა, მე ვიყენებ სუგეტიას /შთაგონება/, ადვილად ვახერხებ პაციენტის გადაყვანას რელაქსაციაში და მკურნალობა უფრო ეფექტური გამოდის.

ზედმიწევნით ვიცნობ ალტერნატიული მედიცინის მკურნალობის ყველა მეთოდს. ახლა მას დავუმატე სუ-ჯოკიც, ეს გახლავთ კორეული რეფლექსოთერაპია, ეს არის მკურნალობის ალტერნატიული მიმართულება.

და რა ხდება ამ დროს?

ადამიანში უნდა შეიყვანო დადებითი ენერგია და გაანთავისუფლო უარყოფითისაგან.

— ბატონო გია, გიმოგზაურიათ ბულგარეთში, რამდენჯერმე პირისპირ შეხვედით ვანგას, საინტერესოა ეს თავგადასავალი, როგორ მოახერხეთ მასთან შეხვედრა?

— ეს ისტორია ჩემი ცხოვრების ყველაზი დრამატული თავგადასავალია. იმხანად შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკაში ვმუშაობდი, თანამედროვე აპარატურის ექსპერტი ვიყავი, ფიზიოთერაპიული აპარატის (მორბენალი ტალღა) შემოტანა დამევალა ბულგარეთიდან. ერთი სიტყვით, აი, ამ საკითხების მოგვარების მიზნით რამდენჯერმე მომიწია ბულგარეთში გამგზავრება. ერთხელ, ბულგარეთში გამგზავრების წინ მის უწმინდესობასთან, ილია მეორესთან მივედი, ვთხოვე კურთხევა მოეცა ჩემთვის, რათა შევხვედროდი ფენომენალურ ქალბატონს, ვანგას. პატრიარქმა კურთხევა მომცა...

ბულგარეთში მქონდა არაჩვეულებრივი, საქმიანი შეხვედრები, მაგრამ მე მხოლოდ მასთან შეხვედრას ვისწრაფოდი. როდესაც გაიგეს ჩემი განზრახვის შესახებ თავიდან იუარეს, მითხრეს შეუძლებელიაო, მაგრამ როგორც იქნა ღმერთმა გადმომხედა და დაინიშნა სოფელ რუპიტეში გამგზავრება. რუპიტე ის სოფელია, სადაც ვანგა პაციენტებს იღებდა. მივედით მის უბრალო ქოხში, სწორედ იმ დროს ვანგასთან იმყოფებოდა ესპანეთის პრინცი, მათმა შეხვედრამ დიდხანს გასტანა, ვანგას დამ მოგვახსენა, რომ ძალიან გადაღლილია, თანაც ნაღვლის ბუშტი აწუხებს და ვერ მიგიღებთო. ჩემთვის ეს იყო შოკის მომგვრელი, რადგან ამას წლების განმავლობაში ვგეგმავდი, აქამდე მოვაღწიე და... მერე ისევ ჟურნალისტმა, რომელიც თან მახლდა, იმარჯვა და ორივე მოვხვდით მასთან. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, ვანგა იწვა ტახტზე, ძლივს სუნთქავდა, შეტევა თანდათან უძლიერდებოდა.

ვერ გეტყვით, რამ მიგიძგა, უცებ, ვიგრძენი მოზღვავებული ენერგია და წამებში სულ სხვა განზომილებაში აღმოვჩნდი, მივუახლოვდი მწოლიარე ქალბატონს და ნათლად ვიგრძენი, როგორ შეიკრა წრე ჩვენ შორის, მისგან წამოვიდა ენერგია, ნელ-ნელა დამშვიდდა, თითქოს ჩაეძინა. მეორე დღეს ვანგას დამ დარეკა, თქვენთან შეხვედრა სურს...

მივედით მასთან, ამჯერად, სულ სხვანაირად დაგვხვდა. ცდილობდა პატივისცემა გამოეხატა, ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი, საინტერესო საუბარი გაიმართა ჩვენს შორის. მან დაწვრილებით მიამბო ჩემს შესახებ, ყველა მისი ნათქვამი იყო რეალური, დამშვიდობებისას საგულდაგულოდ შეფუთული პატარა ამფორა გადმომცა. ერთ მხარეს ყურძნის კრეფის სცენაა გამოსახული, მეორე მხარეს — წმინდა გიორგის გამოსახულება, ვანგამ ეს საჩუქარი გამომატანა, თან "მომნიშნა," მისია დამაკისრა...

— ბატონო გია, როგორ აღმოჩნდით კლინიკა "მარიმედში"?

— ახლავე მოგახსენებთ, ვიცოდი, რომ ამას აუცილებლად მკითხავდით. თქვენს ქალაქში ჩემი ერთერთი პაციენტის წყალობით მოვხვდი, მან მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ მკურნალობის ჩემეული მეთოდები კასპელებსაც გავუზიარო, მერე მანვე დამაკავშირა "მარიმედის" დირექტორთან ბატონ მამუკა ბერიძესთან, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა ჩემს მიერ შეთავაზებული მკურნალობის მეთოდების აქ გამოყენებას და უკვე ერთი თვეა ვიღებ პაციენტებს.

საერთოდ, ალტერნატიული მკურნალობის მეთოდიკა ინდივიდუალურია, პაციენტის განკურნება, მისგან უარყოფითი ენერგიის გამოტანა უცებ არ ხდება, ჩვენი მეთოდიკით ახალი ენერგიის მიცემა ნელ-ნელა უნდა მოხდეს, გასუფთავებული აურა კრიალაა. აურას ყველაზე მეტად აბინძურებს და ანადგურებს შური, ჩვენსკენ მოდის დიდი ტალღა, სწორედ ეს განაპირობებს იმას, თუ როგორ გავიღვიძებთ, როგორი დღე გვექნება. მგრძნობიარე ადამიანები პლანეტის მოქმედებას საოცრად მძაფრად აღიქვამენ და ეს აისახება კიდეც ჯანმრთელობაზე.

ესაუბრა: რუსუდან ხეჩუაშვილი.

კულტურა

"და სიმღერისთვის შეიქმნა..."

კასპში ჩატარდა საქველმოქმედო კონკურს–ფესტივალი სახელწოდებით "და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი", რომლის საკონკურსო პროგრამაში შედიოდა როგორც საესტრადო ასევე ქართული ხალხური სიმღერა. ფესტივალის გალა კონცერტიდან შემოსული თანხა გადაერიცხა ცამეტი წლის ოკმელ გოგონას ანა ჩიტიშვილს, რომელიც ორი წლის ასაკიდან დაავადებულია იუვენური რევმატოიდური ართრიტით.

კონკურს–ფესტივალს (სამხატვრო ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი) სჯიდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ნანა ვალიშვილი (ჟიურის თავმჯდომარე, ეთნომუსიკოლოგი, პროფესორი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი), თეა კასაბური (ეთნომუსიკოლოგი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების კოორდინატორი), რევაზ კოტრიკაძე (ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი).

კონკურს–ფესტივალს დაეხმარა, მხარდაჭერა აღმოუჩინა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელი გიგა ხორგუაშვილი და ლია მენაბდიშვილი.

კონკურსში მონაწილეობდნენ ბავშვები მუნიციპალიტეტში შემავალი ტერიტორიული ორგანოებიდან: ქვემო ჭალა, ქვემო გომი, მეტეხი, კავთისხევი, სასირეთი, თვალადი, წინარეხი, სამთავისი, დოესი, ხოვლე. კონკურსში მონაწილე ყველა ბავშვს მიენიჭა ლაურეატის წოდება და გადაეცა სიგელი.

ნომინაციები შემდეგნაირად განაწილდა:

გრან პრი — ოკმის სასოფლო კლუბის გუნდს სიმღერით "რაჭული" (პედაგოგი ციური გიგაური), პირველი ადგილი –ქვემო ჭალის კულტურის სახლის ტრიოს (ძმები ხვიჩა, გიორგი, გაბრიელ ხელაშვილები). სასირეთის საჯარო სკოლა, საბა გელიტაშვილი, ქვემო ჭალის კულტურის სახლი, მარიამ მეტივიშვილი (პედაგოგი თამარ საჩალელი).

მეორე ადგილი:

ქვემო გომის სასოფლო კლუბიდან ტრიო, ვანიკო ბიძინაშვილი, გიორგი კაპანაძე, ლუკა ორბელაშვილი (პედაგოგი მარიკა ჯავახიშვილი), ქვემო ჭალის კულტურის სახლი, დუეტი მარი ნათაძე, ნიკა თოფურია, ოკმის სასოფლო კლუბი, მათე მეშველაშვილი, თვალადის საჯარო სკოლა, იზა შეშაბერიძე (პედაგოგი მანანა თხინვანელი).

მესამე ადგილი:

მეტეხის საჯარო სკოლა, ტრიო (და–ძმა ქეთევან, ზაზა, გიორგი გეჯაძეები), კავთისხევის საჯარო სკოლა, ტრიო ოთარ ნონიკაშვილი, აკაკი მიხაკიშვილი, ვალერი ირემაშვილი (პედაგოგი კახა ნონიკაშვილი), ოკმის სასოფლო კლუბი, ვაკო მახარობლიშვილი, წინარეხის სასოფლი კლუბი, გიორგი ბერბიჭაშვილი (პედაგოგი მაია თხინვანელი).

ფესტივალის გრან პრის გატოლებული ტიტული "ჟიურის რჩეული" მოიპოვა ყველაზე პატარა კონკურსანტმა, ხუთი წლის მეტეხელმა არჩილ მიგრიაულმა. ფესტივალის მხარდაჭერისა და აქტიურობისათვის დაჯილდოვდნენ: ქვემო გომის სასოფლო კლუბის გამგე ნელი გერმისაშვილი, წინარეხის სასოფლო კლუბის გამგე ნუნუ ბედოიძე, ოკმის სასოფლო კლუბის გამგე ია ზოდიაშვილი და სხვები.

* დასასრული მე-8 გვ.

ძიძა, რომელიც ქოლგით დაფრინავს

ბენკსების ოჯახი დიდ განსაცდელში იყო. წარმოიდგინეთ სახლი, სადაც ოთხი საშინლად ცელქი და თავისნათქვამა ბავშვი ცხოვრობს, მშობლებს კი მათთან ბრძოლის თავი უკვე აღარ აქვთ. მისტერ და მისის ბენკსები კარგი ძიძის ძებნაში ატარებდნენ დღეებს, მაგრამ მათ შვილებს ვერცერთი აღმზრდელი გაუძლებდა. ვერცერთი, გარდა განსაკუთრებული ახალგაზრდა ქალისა, რომელიც, როგორც თავად იტყოდა, "ცვლილებების ქარს" გამოჰყვა.

მერი პოპინსი, იდუმალი ძიძა, მოულოდნელად გამოჩნდება ალუბლის ხეების ქუჩაზე. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ქალს მხოლოდ ერთი ქოლგა და ნაჭრის ჩანთა აქვს. უცნაური იმიტომაა, რომ სინამდვილეში, მერი ქოლგის დახმარებით დაფრინავს, ხოლო ერთი

შეხედვით პატარა ჩანთაში შეუძლია მაგიდა, სკამები, ჩაის სერვიზი და გახუხული კარაქიანი პურები ჩაატიოს. არ ვიცი, როგორ ახერხებს ქალბატონი პოპინსი ბავშვების მორჯულებას. მაგალითად, ჟინიანი ბიჭუნა მაიკლი, რომელიც არაფრისდიდებით არ სვამს წამლის სიროფს, მერი პოპინსის მზერის ტყვეობაში ექცევა. საკმარისია პოპინსის უჩვეულო, პატარა, ცისფერ თვალებს შეხედო, რომ მიხვდები, მასთან ხუმრობა და ფეხების ბაკუნი არ გაგივა.

პამელა ტრევერსმა დაწერა წიგნი ძიძაზე, რომელიც ბავშვებს ყოველთვის იმას აკეთებინებს, რაც საჭიროა. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა სძულდეთ პატარებს მერი პოპინსი. წესით უნდა ფიქრობდნენ, რომ ეს ქალი, რომელიც დაუკითხავად შემოიჭრა მათი ცელქობის სავანეში, ნამდვილი მტარვალია. არადა, ისტორია მკაცრი ძიძის შესახებ მსოფლიოს ბავშვთა ერთ-ერთი საყვარელი საკითხავია. მერი პოპინსი შეიძლება თავიდან არ მოგეწონოს, შეიძლება გაბრაზდე კიდევაც. შემდეგ კი აუცილებლად შეიყვარებ, ისე, როგორც ბენკსების მოუსვენარმა ოთხეულმა შეძლო.

პოპინსის საიდუმლო, ალბათ, ისაა, რომ მას შეუძლია ბავშვების თითოეული ჩვეულებრივი დღე ნამდვილ თავგადასავლად აქციოს. მკაცრი სახე, უზადოდ სუფთა, მოწესრიგებული ტანსაცმელი და წესები, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაემორჩილო, არც ერთ პატარას ეხატება გულზე. მაგრამ მერი პოპინსი ბავშვებს, რომლებიც კარგად იქცევიან, გულუხვად აჯილდოებს. ჯერ მარტო, ჭერზე მაგიდის გაშლა და თავდაყირა ნადიმი რად ღირს.

წიგნები, რომლებიც მერი პოპინსის შესახებაა, 1934 წლიდან 1988-მდე იწერებოდა და უკვე ბევრი დაგროვდა, ასე რომ, შეგიძლია დიდი სიამოვნება მიიღო მათი კითხვისას. ყოველი წიგნის ბოლოს მერი პოპინსი უჩინარდება, ბავშვებს თვალცრემლიანს და დამწუხრებულს ტოვებს. შენც ბენკსების ცელქი პატარებივით გგონია, რომ მორჩა, შენი ყოველდღიური ცხოვრება საშინლად მოსაწყენი გახდება. თუ მართლაც ასე დასევდიანდები, ყოველთვის შეგეძლება ამ წიგნების შემდეგი ნაწილი გადმოიღო და კიდევ ერთი ისტორია წაიკითხო მერი პოპინსზე, რომელიც აუცილებლად დაბრუნდება. ის ხომ იდეალური ძიძაა და არასოდეს ავიწყდება პატარები.

რატომ არის „წითელი წიგნი„ წითელი



ბავშვობაში ვფიქრობდი, რომ წითელი წიგნი არის წითელყდიანი და წითელი ილუსტრაციებით გაფორმებული ტომეული, სადაც წერია ყველაფერზე, რაც წითელია – ბროწეულზე, წითელ ზღვაზე, მზის ჩასვლაზე, იაპონიის დროშაზე და ა.შ. მოგვიანებით გავიგე, რომ წითელი ზღვა სულაც არ ყოფილა წითელი, ხოლო წითელ წიგნში სულ

სხვა ამბებია მოთხრობილი. აი, თუნდაც საქართველოს წითელ წიგნს თუ გადაშლი, უამრავი ცხოველის, ფრინველის და ზღვის ცხოველის სურათს დაათვალიერებ. მიხვდები, რომ მათგან ძალიან ცოტა თუ გინახავს საკუთარი თვალით, ზოგიერთის შესახებ კი არასოდეს გსმენია.

ამ ცხოველებს წითელი წიგნი აერთიანებს ერთადერთი მიზეზის გამო – ისინი გადაშენების პირას იმყოფებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ გავა თვეები, წლები, ან ათწლეულები და საქართველოს ტყეებს, კლდეებს, მთებს და მდინარეებს თანდათან მოაკლდება ცხოველთა სხვადასხვა სახეობები. შენ ალბათ არ იცი რომლები, სწორედ ამიტომ შეიქმნა წითელი წიგნი. მისი შემდგენელი მეცნიერები აკვირდებიან ცხოველებს და ფრინველებს ტყეებში, ითვლიან მათ რაოდენობას. მეცნიერები ხვდებიან, რომ, ერთხელაც, როცა გაიზრდები, შენ და შენი მეგობრები სანადიროდ წახვალთ. ამ დროს შეიძლება წვრილჩლიქიან, ხმლისებურად უკან გადაზნექილ და შებრტყელებულ რქებიან ცხოველს ესროლოთ და ვერც მიხვდეთ, რომ ამ ტყეში მცხოვრები უკანასკნელი ნიამორი დაჭერით.

თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში რამდენიმე ფოცხვერიც ბინადრობს. ალბათ, არც ამ ცხოველის შესახებ გსმენია, ამიტომ, გეტყვი, რომ ფოცხვერი ვეფხვს ჰგავს. ისიც კატისებრთა ოჯახიდანაა. თუმცა, ვეფხვზე ნაზი ბეწვი აქვს, უფრო გრძელი ფეხები, განიერი თათები, ხოლო ყურებზე წაგრძელებული ფუნჯები.

გახსოვს მულტფილმი მეფე-ლომი? მაშინ სიმბას მტერი, საზიზღარი და ჭუჭყიანი აფთრებიც გაგახსენდება, სამნი რომ იყვნენ. შენ წარმოიდგინე, ზუსტად მათნაირი, ზოლიანი და შავპირიანი აფთრები საქართველოს ველებზეც დალასლასებენ, მაგრამ, ეჭვი მაქვს, რომ ისინიც მხოლოდ სამნი დარჩნენ, სამწუხაროდ.

მე შემიძლია მოგიყვე სხვა ცხოველების და ფრინველების შესახებ და შენც ხანდახან გადაშალე წითელი წიგნი. შეიძლება იფიქრო, წითელ წიგნში იმიტომ წერენ ამ არსებებზე, რომ ჩვენ ვიცოდეთ, ოდესღაც ისინი არსებობდნენ. მაგრამ სინამდვილეში, ყურადღება უნდა მივაქციოთ ტყეებს, არ გავაჭუჭყიანოთ ბუნება. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ წითელი წიგნის ცხოველებს ლამაზი სახლი, სუფთა ჰაერი და პატარა ნაშიერების გაჩენის ხალისი ჰქონდეთ.

ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა ყველაზე გემრიელი წიგნია მათ შორის, რაც კი ოდესმე წამიკითხავს. შემიძლია ვთქვა მტანჯველიც კი, რადგან ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ იმოგზაურა პატარა ბიჭუნა ჩარლი ბაკეტმა ვილი ვონკას ქარხანაში ნერწყვის დიდი რაოდენობით გამოყოფას იწვევს.

წიგნის მთავარი პერსონაჟი ჩარლია, ბიჭი, რომელიც ძალიან ღარიბ ოჯახში ცხოვრობს. მის პატარა სახლში მხოლოდ ერთი საწოლია, რომელზეც ორი მოხუცი ბებია და ორი ბაბუა წვანან. ჩარლის ძალიან უყვარს შოკოლადი, მაგრამ მისი ჭამა მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეუძლია, დაბადების დღეზე, ისიც, ერთი პატარა ფილისა.

რომ არა ერთი უცნაური ტიპი – მისტერ ვილი ვონკა, ჩარლი ვერასოდეს ნახავდა და დააგემოვნებდა საუკეთესო შოკოლადს. საქმე იმაშია, რომ მისტერ ვონკამ აღარ იცის, რითი გაირთოს თავი და გადაწყვეტს ხუთი ოქროს ბილეთი გაათამაშოს, რომელთა პატრონებიც მის შოკოლადის ფაბრიკაში წავლენ ექსკურსიაზე. არის ღორმუცელა ბიჭი ავგუსტ გლუპი, მისი საყვარელი საქმიანობა სასუსნავების ჭამაა. განებივრებული გოგონა ვერუკა სოლტი, მიჩვეულია, რომ ყველა მისი მოთხოვნა თვალის დახამხამებაში სრულდება. ვიოლეტა ბორიგარდს კევის ღეჭვაში რეკორდი აქვს დამყარებული. მაიკ ტივი ტელევიზორის ჭიაა. ეს ოთხი ბავშვი ჩარლი ბაკეტთან ერთად ხდება ექსკურსიის მონაწილე. ყოველ მათგანს ექსკურსიის დასრულების შემდეგ ცხოვრების ბოლომდე თავზესაყრელი შოკოლადი ექნება. მაგრამ მისტერ ვილი ვონკას გადაწყვეტილი აქვს ამ ხუთ ბავშვს შორის გამარჯვებული გამოავლინოს, რომელსაც განსაკუთრებული პრიზი ერგება – გახდება ფაბრიკის მმართველი და მიიღებს შოკოლადის მემკვიდრეობას.

ამ წიგნში ბევრ საინტერესო და გემრიელ პეიზაჟს გადააწყდებით. სიტყვა პეიზაჟი ტყუილად არ მიხსენებია, ვილი ვონკას ფაბრიკაში გასაოცარი წალკოტია. ეს არის ადგილი, სადაც ყველაფერი შოკოლადისაა: მთები, გორაკები, მდელოები, ბალახი, ხეები. რაც მთავარია, ამ ადგილას უზარმაზარი შოკოლადის ჩანჩქერებია, შეგიძლია ცხელ კაკაოს პირდაპირ მდინარის ნაპირიდან დაეწაფო.

მისტერ ვონკას ფაბრიკაში ჩვეულებრივი ადამიანები არ მუშაობენ, აქ მხოლოდ მხიარული კაცუნები უმპალუმპები ამზადებენ შოკოლადს საიდუმლო რეცეპტით. ვილი ვონკას საკუთარი კაბინეტიც აქვს, სადაც ახალ საინტერესო რამეებს ქმნის ხოლმე. ყველაზე მეტად საღეჭი რეზინი-სადილის გამოგონებით ამაყობს – ეს არის კევი, რომლის დაღეჭვისასაც ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს სამნაირ კერძს მიირთმევდე. ამ კაბინეტში ვილი საუცხოო კანფეტებს აკეთებს, რომელთა წუწნა სამუდამოდ შეგიძლია და პირში მაინც არ დადნება.

მოკლედ, ვილი ვონკას შოკოლადის ფაბრიკა მგონი ერთადერთი ქარხანაა, რომელშიც ვერცერთი ბავშვი მოიწყენს. ამიტომ, ამერიკელმა მწერალმა როალდ დალმა გადაწყვიტა აღეწერა ყველა მადისაღმძვრელი წვრილმანი. ამ წიგნის კითხვისას პატარებს შეუძლიათ ჩარლი ბაკეტის, ღარიბი, შოკოლადის მოყვარული ბიჭუნას ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა და ტკბილ მოგზაურობაში ჩაძირვა.

გვერდი მოამზადა ციუკა ყიფშიძემ.

ქეხურა ელოდება გამოხმაურებას

ფოტო-მასალანი





ხსოვნა

ლიანა ნონიაშვილი

ჩვენს პატარა ქალაქს ღირსეული ქალბატონი გამოაკლდა. წავიდა ამ ქვეყნიდან ამაგდარი პედაგოგი ლიანა ნონიაშვილი.

ლიანა მასწავლებელი კასპის მესამე საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მშობლიურ ენასა და მათემატიკას ასწავლიდა და მისი მოსწავლეები ყოველთვის თავს იწონებდნენ კარგი სწავლითა და სანიმუშო ქცევით.

ქალბატონმა ლიანამ ღირსეული, სამაგალითო ოჯახი დატოვა, სამი შვილი აღზარდა, ამაყობდა თავის მონაგარით, მაგრამ მოსიყვარულე ბებიაზე საფიცარი შვილიშვილის, გიორგის ტრაგიკულმა სიკვდილმა მომაკვდინებლად იმოქმედა ვეღარ გაუძლო...

გატყდა მტკიცე ნებისყოფიანი, მრავლისმომთმენი ქალბატონი და...

ნათელში ამყოფოს უფალმა ღირსეული ქალბატონის, ლიანა ნონიაშვილის სული.

კასპის მესამე საჯარო სკოლა.

ძვირფასო მკითხველო,

ალბომანი ცალკეულის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ ჟუჩუნელი მოვლენის მონაწილე ხდება. უმეტეს შემთხვევაში ეს ვის ვიცით, ვის გვუზიარებთ ნახსნა, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება ვრცნობრივად გაგვიგონ.

თუ ყოველდღიურ მომნელ ჟუჩუნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენის შეგიძლიათ მოგვწეროთ ამ მოვლენის ამცნეველი მასალა. მისი გაცნობისა და შეცნობვლის შემდეგ თუ იგი ცალკეულად იქნება გაზეთის მკითხველისათვის, გამოგვეყენება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი".

ცალკეულის შემთხვევაში შეგიძლია თქვენ მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ეფირეს "ფენომენს" და შეცვალამისად ავტორი გაეცნოს იქნებოდეს შეთანხმებულ თუ ყომენტარებს.

ველოდებით გამოხმაურებას.

ჩვენო საყვარელო პატარებო!

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვეძებლობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სწავლიათ!) საუბარი.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნაკლებ ცნობილ ადგილებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, ყურადღებით:

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "კეხურა".

80 წელი თქვენს გვერდით

გამოიწერეთ

„ახალი განთიადი„!

80 წელი თქვენს გვერდით

"და სიმღერისთვის შეიქმნა ..."

* დასასრული

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელს ზაზა მენაბდიშვილს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა საჩუქრად გადასცა მის მიერ გამოცემული საგალობელთა სანოტო ხელნაწერთა არქივიდან შედგენილი კრებული, რომელიც შეადგინეს და გამოსცეს ჩვენი რაიონის ღირსეულმა წარმომადგენლებმა, ქვემოჭალელმა წმინდანებმა, ძმებმა კარბელაშვილებმა.

ფესტივალის ლაურეატები გახდნენ: მარიამ თხილავა, გიორგი კაპანაძე, ვანიკო ბიძინაშვილი, თამარ ბაისონაშვილი, გიორგი ლაცაბიძე, მაკა პარსელაშვილი, თამარ კასრაძე, მანანა ყეინაშვილი, გიორგი ხორბალაძე, მარიამ იორდანიძე, მარი ნათაძე და მეტეხის გუნდი.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

„ახალი განთიადი„ იძიებს ცალკეულის ცხოვრებიდან ცოცხალ ფოტო-მასალანის შეცვლილია. თანდართულ მიეშვრთვეთ თანცხოვრებულებს - ლამაზი თეატრი ყველი ჩვენს მასალაში!

გამოგვიგზავნეთ ცალკეული ლა ცხოვლიანი ფოტოები!

„ახალი განთიადის„ მკითხველს შეუძლია მოგვანოდოს თავისი შედგენილი – სავტორო კროსვორდები, შემეცნებითი-გასართობი მასალები. მათგან ყველაზე საინტერესო გამოქვეყნდება სპეციალური რუბრიკით „გონებანი გონიერსა„ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, საკაძის ქ. 68.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საკაკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76